საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 23

1 მარტი, 2021 წელი
ქ. თბილისი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3[1] მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, "პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 12 დეკემბრის N243 ბრძანებით დამტკიცებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 1 მარტის N40 ბრძანება.

II. დამტკიცდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემდეგი შემადგენლობა:

1. ნინო გობრონიძე - ევროპის საბჭოს პროექტი დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, პროექტის უფროსი ოფიცერი;
2. ნინო მახაშვილი - გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (თბილისი), ხელმძღვანელი;
3. იაგო კაჭკაჭიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი.
4. ბესარიონ ბოხაშვილი - ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR), პროგრამის ოფიცერი;
5. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), თავჯდომარის მოადგილე;
6. გიორგი გოგია - Human Rights Watch-ის ევროპისა და შუა აზიის განყოფილების ასოცირებული დირექტორი (Associate Director for Europe and Central Asia).
7. კონსტანტინე კორკელია - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

8. მორის შალიკაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
9. გურამ იმნაძე - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი.

III. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

IV. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ, N64), მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი